



E - GOVERNMENT . GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #12

მარტი, 2012

გამოშვებაში წაიკითხავთ

- სემინარი კიბერუსაფრთხოების თემაზე **1**
- მოქალაქის პორტალის პრეზენტაცია მართვის აკადემიაში **2**
- ნოტარიუსთან ვიზიტის ონლაინ რეჟიმში დაგეგმვა **2**
- საჯარო რეესტრის ონლაინ სერვისები **3**
- პრეზენტაცია ელექტრონული სავაჭრო სისტემის შესახებ **3**
- პროგრამული უზრუნველყოფის სატანდარტები **4**
- ელექტრონული მმართველობის განვითარების სამთავრობო კომისიის სხდომა **4**
- ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიელი ექსპერტების ვიზიტი **5**

სემინარი კიბერუსაფრთხოების თემაზე



ამა წლის 20–21 მარტს, ევროპის საბჭოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანაორგანიზებითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, სასტუმროში „ქორთიარდ მერიოტი“ გაიმართა ორდღიანი სემინარი კიბერდანაშაულთან ბრძოლის სპეციალიზირებული საგამომიებო დანაყოფების თემატიკაზე. სემინარი წარმოადგენს „აღმოსავლეთ

პარტნიორობის“ პროგრამის ნაწილს, რომელშიც, საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს და უშიშროების საბჭოს წარმომადგენლების გარდა, მონაწილეობა აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და მოლდავეთის შესაბამისმა უწყებებმაც მიიღეს.

სემინარის დროს, კიბერდანაშაულის სპეც–დანაყოფების უკანასკნელი გამოცდილება და ხერხები მონაწილეებს გააცნეს მოწვეულმა წამყვანმა ექსპერტებმა დიდი ბრიტანეთიდან, ნიდერლანდებიდან, ბელგიაიდან, რუმინეთიდან და მაკედონიის რესპუბლიკიდან. სემინარის თემატიკა საკმაოდ მოცულობითი იყო და მოიცავდა როგორც კიბერდანაშაულის სპეც–დანაყოფების გამოცდილებისა და მათი მუშაობის პრობლემების გაზიარებას, ისე გამომიებლებისა და ექსპერტების ტრენინგის, სპეც–ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის საჭიროების, უწყებათაშორისი კოორდინაციისა და სასწავლო–კვლევითი ცენტრების ფუნქციონირების საკითხებს.

სემინარის ბოლოს, სემინარის მონაწილე ქვეყნებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებში მსგავსი დანაყოფების მუშაობის გაუმჯობესებას და თანამშრომლობის გაღრმავებას ემსახურება.



საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

www.justice.gov.ge



იუსტიციის
სახლი

www.house.gov.ge



საქართველო
ფონდები

www.cra.gov.ge



საქართველოს
პროცესის
სააგენტო

www.napr.gov.ge



საქართველოს
არქივები

www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



საქართველოს
საქართველოს
საინფორმაციო
სამსახური

www.matse.gov.ge



www.eauction.ge

ქვეყნის ელექტრონული
აუქციონი



www.rs.ge



www.tbilisi.gov.ge

მოქალაქის პორტალის შესახებ მართვის აკადემიაში საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ მართვის აკადემიაში მოქალაქის პორტალის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა გამართა. სააგენტოს თავმჯდომარემ ირაკლი გვენეტაძემ შეკრებილ აუდიტორიას დეტალურად გააცნო ახალი სისტემის როგორც ფუნქციონალური, ისე ტექნიკური მხარე.

შეხვედრას სხვადასხვა სექტორში მომუშავე საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები ესწრებოდნენ.

„მსგავსი ტიპის შეხვედრები მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ საქმე გვაქვს სრულიად ახალ პროდუქტთან - მოქალაქის პორტალთან,

რომელიც ელექტრონული ID ბარათის მეშვეობით სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებს - იქნება ეს მოქალაქე, იურიდიული პირი თუ არარეზიდენტი - ერთი ფანჯრის პრინციპით შესთავაზებს მრავალფეროვან მომსახურებას, რომელიც სახელმწიფოს მიერაა დანერგილი. დღეს ჩვენ შევხვდით საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე პროფესიონალებს, დეტალურად გავაცანით პროექტის არსი და მოვისმინეთ მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო წინადადებები.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

ნოტარიუსთან ვიზიტის ონლაინ რეჟიმში დაგეგმვა



საქართველოს ნოტარიუსთა პალატა მომხმარებელს კიდევ ერთ ონლაინ სერვისს სთავაზობს. ნოტარიუსთან ვიზიტის დაგეგმვა უკვე ინტერნეტის მეშვეობითაც გახდა შესაძლებელი.

„ნოტარიატში დანერგილი ყველა სიახლე მოქალაქეთა მომსახურების გამარტივებაზეა ორიენტირებული. ახალი ელექტრონული სერვისის ამოქმედების შედეგად მოქალაქეს აღარ მოუწევს სანოტარო ბიუროში რიგში დგომა, მას საშუალება ექნება, სანოტარო მომსახურება უფრო კომფორტულად მიიღოს“, - განაცხადა ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარემ **ნინო ხოფერიამ**.

ნოტარიუსთა პალატისა და იუსტიციის სახლის ვებგვერდებზე განთავსებული ბანერის მეშვეობით მოქალაქე შევსა სპეციალურ პროგრამაში (სადაც მითითებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ყველა ნოტარიუსის კოორდინატები) და მოიძიებს ნოტარიუსს. პროგრამა საშუალებას იძლევა, მომხმარებელმა მოიძიოს იმ პერიოდისთვის თავისუფალი ნოტარიუსი, ან დაელოდოს, როდის გათავისუფლდება მისთვის სასურველი ნოტარიუსი და ინტერნეტით შეუთავსდეს ვიზიტზე. თუკი ნოტარიუსიც დაადასტურებს, რომ მოქალაქის მიერ პროგრამაში მითითებულ დროს შეუძლია მისი მიღება, მოქალაქეს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიუვა შეტყობინება ვიზიტის თაობაზე. მოქალაქე შეტყობინებას იღებს მეორეჯერაც, დაგეგმილ ვიზიტამდე ერთი საათით ადრე. ამასთან, თუკი ნოტარიუსმა შეცვალა ვიზიტის დრო, ამის შესახებაც მისდის შეტყობინება მოქალაქეს.

ამასთან, გამორიცხულია ერთი და იგივე დროს ერთზე მეტი ვიზიტის დაგეგმვა. ელექტრონული პროგრამა იმის საშუალებასაც იძლევა, რომ მოქალაქეთა ვიზიტები დროში არ დაემთხვას.

საჯარო რეესტრის ონლაინ სერვისები გაიფადა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ონლაინ სერვისები გაიფადა. სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელდად, ონლაინ რეჟიმში უძრავი ქონების შესახებ ამონაწერის მისაღებად დაწესებული საფასური 15 ლარის ნაცვლად 10 ლარი ეღირება. ამონაწერს მომხმარებელი ინტერნეტის მეშვეობით გაკეთებული მოთხოვნიდან 1 სამუშაო დღეში მიიღებს. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს იმავე დღეს სურს ამონაწერის მიღება, მომსახურების საფასური 40 ლარით არის განსაზღვრული.

„ჩვენ მუდმივად ვსწავლობთ მომხმარებლების მოთხოვნილებებს. საჯარო რეესტრის მიერ ელექტრონული მომსახურების ფართო სპექტრის დანერგვამ მომხმარებლებს საშუალება მისცა დროის ნაკლები დანახარჯით სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად განახორციელოს საჯარო რეესტრთან დაკავშირებული სხვადასხვა ოპერაცია. ჩენმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ელექტრონულ სერვისებზე მოთხოვნა დიდია. აქედან გამომდინარე გადავწყვიტეთ, რომ დროის დანახარჯის შემცირებასთან ერთად მომხმარებლებისთვის ამა თუ იმ მომსახურების საფასურიც ჩვენამციროთ.“ - **სოსო წიქარიშვილი**, საჯარო რეესტრის თავმჯდომარე.

ელექტრონული სავაჭრო სისტემის პროექტთან დაკავშირებით მონაცემთა გაცვლის სააგენტომ პრეზენტაცია გამართა

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) „ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის“ ოფისში ელექტრონული სავაჭრო სისტემის პროექტთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციას დაესწრნენ ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივის, გადამზიდავთა ასოციაციის, გადამზიდავი კომპანიებისა და საბაჭოს წამომადგენლები.

ელექტრონული სავაჭრო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით მემორანდუმში 2012 წლის თებერვალში გაფორმდა. მემორანდუმის მიზანია შექმნას მხარეებს შორის ალიანსი ელექტრონული სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის. მემორანდუმის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივ სამოქმედო გეგმაზე, რომლის შედეგადაც მოხდება ერთიანი სავაჭრო ქსელის ელექტრონული სისტემის ჩამოყალიბება. ელექტრონული სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბებას, მისი მუშაობის ტექნიკურ ზედამხედველობასა და კოორდინაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო განახორციელებს.

„დღევანდელ შეხვედრაზე ელექტრონული სავაჭრო სისტემის პროექტში ჩართულ მხარეებს გავაცანით სისტემის მუშაობის დეტალები, მისი წარმატებულად ფუნქციონირებისათვის თითოეული მხარის როლი და ვისმჯეღეთ სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე.“ - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

ელექტრონული სავაჭრო სისტემის ჩამოყალიბება საშუალებას მისცემს ვაჭრობაში ჩართულ მხარეებს ელექტრონულ რეჟიმში გაცვალონ ინფორმაცია, რაც შეამცირებს დანახარჯებსა და ტრანზაქციებზე დახარჯულ დროს. იგი საშუალებას მისცემს ვაჭრობის მონაწილეებს თავი აარიდონ დოკუმენტ-ბრუნვას და არა მხოლოდ ელექტრონულად მოახდინონ საჭირო ფორმების შევსება და ტვირთების განბაჟება, არამედ მიიღონ ინფორმაცია გადაზიდვების განრიგის, ტვირთის ადგილმდებარეობისა და ვაჭრობისათვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაციის შესახებ. აღნიშნული სისტემა კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს სატრანზიტო კორიდორის მნიშვნელობას და ხელს შეუწყობს საქართველოში ტვირთბრუნვის ზრდას.

ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის სხდომა

4 აპრილს, საქართველოს მთავრობის კანცელარიაში საქართველოს პრემიერ მინისტრის ნიკოლოზ გილაურის ხელმძღვანელობით გაიმართა ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის მორიგი სხდომა. კომისიის წევრებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა რამდენიმე საკითხი გააცნეს.

საჯარო სექტორში შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფისთვის მინიმალური მოთხოვნების ჩამოყალიბებისა და საჯარო სექტორში მიმდინარე IT პროექტების შესახებ სააგენტოს თავმჯდომარემ ირაკლი გვენეტაძემ ისაუბრა. მოქალაქის პორტალის პროექტისა და IT სპეციალისტების ტრენინგების საჭიროების კვლევასთან დაკავშირებით სააგენტოს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის სამმართველოს ხელმძღვანელმა ნიკოლოზ გაგნიძემ გააკეთა პრეზენტაცია, ხოლო ერთიანი სავაჭრო ქსელის ჩამოყალიბების პროექტი კომისიის წევრებს სააგენტოს პროექტების მართვის სპეციალისტმა პაატა სირბილაძემ გააცნო.

ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია აღნიშნული საკითხების გარდა აქტიურად მუშაობს ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ფორმირება, ელექტრონული eID ბარათის გავრცელების სტრატეგია, ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოება, ქართული ენის უზრუნველყოფა კომპიუტერულ სისტემებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ინფორმაციული სისტემების განვითარება, ელექტრონული ჯანდაცვის პროექტები და სხვა.

ელექტრონული მმართველობის განვითარების სამთავრობო კომისიამ პროგრამული უზრუნველყოფის სტანდარტები შეიმუშავა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტომ ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობ სამთავრობო კომისიას საჯარო სექტორში პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მინიმალური მოთხოვნები გააცნო.

პროგრამული უზრუნველყოფის სტანდარტების შექმნის მიზანია ჩამოყალიბდეს ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც უზრუნველყოფს საჯარო სექტორში შექმნილი კომპიუტერული სისტემების მუშაობის მაღალ ხარისხს, სხვადასხვა პროგრამული პროდუქტების ურთიერთთავსებადობას, პროდუქტის

დანერგვისა და პროდუქტთან დაკავშირებული მომსახურების მაღალ ხარისხს.

„საჯარო სექტორში პროგრამული უზრუნველყოფის სტანდარტების არარსებობა არაერთი პრობლემის საფუძველს წარმოადგენს. კერძოდ, არ არის ჩამოყალიბებული სისტემის მდგრადობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ამა თუ იმ ორგანიზაციის სისტემის ფუნქციონირება დამოკიდებულია ამავე ორგანიზაციებში მომუშავე პერსონალის უნიკალურ ცოდნაზე, არ ხდება სისტემის შემდგომი განვითარების პროგნოზირება და სხვა. ცხადია, მსგავსი სახის პრობლემები აფერხებს, ზოგ შემთხვევაში კი, საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის კომპიუტერული სისტემების გამართულ მუშაობას. პროგრამული უზრუნველყოფის სტანდარტების შემუშავება და დანერგვა ხელს შეუწყობს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას.“ - ირაკლი გვენეტაძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თანამშრომლებს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლონელმა ექსპერტებმა გამოცდილება გაუზიარეს



ევროკომისიის ტექნიკური დახმარებისა და ინფორმაციის გაცვლის პროგრამის TAIEX-ის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს პოლონეთის კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის (CERT) წარმომადგენლები ეწვივნენ და ერთი კვირის განმავლობაში ამავე სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულების თანამშრომლებისთვის სემინარი გამართეს.

პოლონელმა კოლეგებმა CERT.gov.ge-ს ჯგუფს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება, გააცნეს პრაქტიკულ მაგალითებზე დაფუძნებული სიტუაციები და წარმოადგინეს საკუთარი რეკომენდაციები CERT.gov.ge-ს სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით.

„ასეთი ტიპის სამუშაო შეხვედრები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პოლონეთმა ინფორმაციული უსაფრთხოების განვითარების მხრივ მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესოა მათი გამოცდილების გაზიარება, რაც სამომავლოდ ჩენს საქმიანობაში გამოგვადგება.“ - **ირაკლი ლომიძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს უფროსი.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.e-government.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 50
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდით თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Unsubscribe”.